ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1419146

ნომერი: AR1240594

თარიღი : 28.07.2014

გაცემის თარიღი : 04.08.2014

გაცნობის თარიღი : 04.08.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მტკვრის მარჯვენა სანაპირო , (ნაკვეთი 03/019) / ქალაქი თბილისი , მდინარე მტკვრის მარჯვენა სანაპირო, ბაქტერიოფაგის მიმდებარედ ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნინო მაჭავარიანი პ/ნ 01025015969
- დიდი დიღომი, მე-3 მ/რ, 29 კორპ,ბინა 34აა

ნომენკლატურა :

- ქალაქგეგმარება
- ქალაქგეგმარებითი დასკვნა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის, "დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 08 ივლისის N1-1/1254 ბრძანების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი AR1240594 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქალაქგეგმარებით დასკვნას თქვენს დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: #01.10.13.003.020) მონიშნული ტერიტორიის სამშენებლოდ განვითარებასთან დაკავშირებით. პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 5 ივნისის #6-17 გადაწყვეტილებით დამტკიცდა დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმა, რომელიც განსაზღვრავს დასახლებათა ტერიტორიების გამოყენების (მიწათსარგებლობის) და განაშენიანების ძირითად პარამეტრებს, კეთილმოწყობის, გარემოსა და უძრავი კულტურული მემკვიდრეობის დამცავ სივრცით-ტერიტორიულ პირობებს, სატრანსპორტო, საინჟინრო და სოციალური ინფრასტრუქტურის, ასევე ეკონომიკური განვითარების სივრცით ასპექტებს და განსახლების ტერიტორიულ საკითხებს. თქვენს დაინტერესებაში არსებულ ტერიტორიაზე დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის–რუკის, მიხედვით ვრცელდება საზოგადოებრივ–საქმიანი ზონა 2 (სსზ–2). „ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის N4-13 გადაწყვეტილების თანახმად საზოგადოებრივ–საქმიანი ზონა 2 წარმოადგენს მაღალი ინტენსივობის ზონას, მათ შორის კარკასს, სადაც დომინირებულ სახეობას შეადგენს ობიექტები საზოგადოებრივი დანიშნულების ფუნქციებით.

აქვე გაცნობებთ, რომ საკადასტრო ერთეულზე (საკადასტრო კოდი: #01.10.13.003.020) (თქვენს დაინტერესებაში არსებულ ტერიტორიაზე) სამსახურის მიერ 07.02.2013წ. №536059 გადაწყვეტილებით გაცემულია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები, საოფისე შენობა–ნაგებობის განთავსების მიზნით, რომლითაც შეგიძლიათ იხელმძღვანელოთ.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.